”დინამო” (თბილისი) - ”დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 2:0 (0:0)

თბილისი ვ. ი ლენინის სახელობის ”დინამოს” სტადიონი 19 ივნისი

”დინამო”: გაბელია, ჩიქოვანი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე (აფციაური, 76), სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია (ყიზილაშვილი 46), კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

”დნეპრი”: კრაკოვსკი, იუდინი, კულიში, სიდელნიკოვი, იაროვენკო, კუდრიცკი, ბაგმუტი, ჩერედნიკი, ლიუტი, სონი, შახოვი (მოსკვინი, 67).

მსაჯი ა. ლუნინი (მოსკოვი)

შესაძლოა ჩვენ ჯერ კიდევ საკავშირო თასის იმ ნახევარფინალური მატჩის ტყვეობაში ვიმყოფებოდით, როცა დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა თბილისში დაამარცხეს დინამოელები და ფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს. ის იყო უკიდურესად დაძაბული, უშეღავათო ბრძოლა, რომელმაც ”დნეპრს” გამარჯვება მოუტანა და ჩვენს გუნდს არ მისცა საშუალება კიდევ ერთხელ გასულიყო საპატიო პრიზისთვის ბრძოლის ფინალში. მარცხი ფრიად დასანანი იყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრ დროს არ გაუვლია, თბილისის დინამოელები ამჯერად ჩემპიონატის ერთ-ერთ ურთულეს მატჩში კვლავ შეხვდნენ ძლიერ მეტოქეს და ისევე როგორც მაშინ, გამარჯვება მეტად საჭირო იყო. ჩემპიონატის ამ ეტაპზე კატეგორიულად საჭიროა ქულები და სატურნირო ცხრილში მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. ალტერნატივა არ არსებობდა - საჭირო იყო ძალების მაქსიმალური მობილიზებით ბრძოლა გუნდთან, რომელი ჩემპიონობის ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია და მყარად იმყოფება გათამაშების ლიდერთა შორის.

დაიწყო მატჩი და თავიდანვე თვალსაჩინო შეიქმნა სტუმართა მაღალი კლასი, საუკეთესო ფიზიკური მომზადება, ტაქტიკური თამაშის სიმწვავე ”დნეპრი” შეტევას იწყებდა გაძლიერებული ძალებით, მოულოდნელი კომბინაციებით, მისი შემტევი რგოლის მთავარი მოქმედი პირები იყვნენ ლიუტი, სონი, შახოვი, მათ მხარდაჭერა არ აკლდათ ნახევარ მცველებისგან. სამივე ფორვარდი ათლეტურად მძლავრი და მაღალტექნიკურია, ისინი განუწყვეტლივ იცვლიან ადგილებს და ხშირი მანევრირებით აღწევენ მეტოქის რიგებში, რაც შეეხება დაცვას, სტუმრების ამ რგოლის თითოეულმა მოთამაშემ კარგად იცის თავისი საქმე და იშვიათად თუ აძლევს მეტოქეს საშუალებას უშუალო კონტაქტი ჰქონდეს მეკარე კრაკოვსკისთან.

”დნეპრი” კარგა ხანს ასე აქტიურად თამაშობდა, რამდენიმე კარგი მომენტიც ჰქონდა, მაგრამ სწორედ ამ მძიმე, დამქანცველი ბრძოლისას გამოჩნდა დინამოელ ფეხბურთელთა მომზადების მაღალი დონე. თბილისელებმა თანდათან ააწყვეს თამაში, შუა ტაიმში მთლიანად გამოასწორეს მდგომარეობა, შესვენების წინ კი უკვე უპირატესობასაც მიაღწიეს. ამ პერიოდში თამაშში უკვე ხშირად ერთვოდა მეკარე კრაკოვსკიც და მცველებსაც მნიშვნელოვნად უჭირდათ მეტოქის იერიშების მოგერიება. პირველი ტაიმის დასასრულს აღებული ეს მაღალი ტემპი და უპირატესობა დინამოელებმა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს. გადიოდა დრო და მათი უპირატესობა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, კარგად ჩაერთო თამაშში შემცვლელად გამოსული ყიზილაშვილი.

რაც შეეხება ”დნეპრს”, მისმა თავდამსხმელებმა მნიშვნელოვნად მოუკლეს შეტევის სიმძაფრეს, თითქმის აღარ ჩანდნენ ლიუტი და სონი, შესაცვლელი შეიქნა გუნდის ერთ ერთი ბომბარდირი შახოვი და საერთოდ, დნეპროპეტროვსკელები მხოლოდ იშვიათი კონტრიერიშებით თუ კმაყოფილდებოდნენ.

მიმდინარეობდა 59-ე წუთი, როცა გოგიჩაიშვილმა და ყიზილაშვილმა ერთმანეთს შორის რამდენიმე გადაცემით გაითამაშეს ტემპიანი კომბინაცია, მის დასასრულს კრაკოვსკის პირისპირ გავიდა ყიზილაშვილი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში - 1:0.

ამ გოლს ჯიშკარიანის სწრაფი გარღვევა მოჰყვა და კრაკოვსკის კარი მხოლოდ ძელმა იხსნა. მასპინძელთა იერიშები მხოლოდ შეუსვენებლივ გრძელდებოდა, 84-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა და ყიზილაშვილმა კლავ შეასრულეს თავიანთი სწრაფი ”რეპეტე”, საბოლოოდ ბურთი საჯარიმო მოედანზე მიიღო კაჭარავამ და რთულ სიტუაციაში უშეცდომოდ ითამაშა - 2:0.

ამ გოლმა საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი. დნეპროპეტროვსკელებს ცდა არ დაუკლიათ ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ ორი ბურთის სხვაობას ისინი რომ უკვე ვეღარ აანაზღაურებდნენ, ეს ცხადი იყო, პირიქით, მატჩის ბოლო წუთებზე დინამოელები კვლავ და კვლავ უტევდნენ.

ამ მეტად ძნელ შემთხვევაში თბილისის დინამოელებმა კარგი მომზადება, თამაშის მაღალი დონე და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს.

ბ. ქორქია

“ლელო” 20 ივნისი 1989 წელი